# „მწვანე ალტერნატივა“ თემაზე - „ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ დისკუსიას გამართ

თეა გუზელაძე, *info@bpi.ge*
პარასკევი, *14* სექტემბერი *2012 10:36*

თბილისი **(BPI)** - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ დღეს სასტუმრო „ვერე პალასში“ თემაზე - „ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ დისკუსიას გამართავს. შეხვედრაში მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები მიიღებენ.

ისინი საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების აქტუალურ საკითხებზე პოლიტიკური გაერთიანებების ხედვას წარმოადგენენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება ექნებათ მათთვის საინტერესო საკითხებზე პოლიტიკოსებს კითხვები დაუსვან.

შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“, „ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ლეიბორიტული პარტიის“ წარმომადგენლები არიან მიწვეული.

მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრა იმ შეხვედრათა ციკლიდან პირველია, რომელსაც „მწვანე ალტერნატივა“ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ გაერთიანებებთან წინასაარჩევნოდ გამართავს.

შეხვედრების მიზანი პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სამოქალაქო სექტორს შორის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პერსპექტივებზე დიალოგის ხელშეწყობა, ასევე, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ამომრჩეველთა დახმარებაა.

TOP.GE
BOOM.GE 740

კომენტარის დამატება

სახელი (აუცილებელია)

ელ-ფოსტა (აუცილებელია, არ გამოჩნდება)

ვებ-გვერდი

დარჩენილი სიმბოლოები 1000 FORM_CHARSLEFT_SUFFIX

შემატყობინე მომდევნო კომენტარების შესახებ

განახლება

გაგზავნა

JComments

კალენდარი

| < | | სექტემბერი 2012 | | | | > |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ | სა | ოთ | ხუ | პა | შა | კვ |
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |

გამოკითხვა

თქვენი აზრით პრემიერ მინისტრობის კანდიდატებიდან რომელი იქნება ყველაზე წარმატებული გამარჯვების შემთხვევაში?

- გამყრელიძე დავით – ახალი მემარჯვენეები
- თარგამაძე გიორგი – ქრისტიან–დემოკრატები
- ივანიშვილი ბიძინა – ქართული ოცნება
- მერაბიშვილი ვანო – ნაციონალური მოძრაობა
- ნათელაშვილი შალვა – ლეიბორისტული პარტია
- სხვა

ხმის მიცემა

შედეგების ნახვა

შესვლა

სახელი(ნიკი)

პაროლი

დამიმახსოვრე

შესვლა

დაგავიწყდათ სახელი?